# საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
# უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი 09 ---- ივლისი, 2019წ

# ბრძანება № 01-02/112

**ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომ განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამებზე: „თერაპიული სტომატოლოგია“ , „ორთოპედიული სტომატოლოგია“, გადამზადების პროგრამაზე „ორთოპედიული სტომატოლოგია“ და სპეციალიზაციის კურსის პროგრამაზე „ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია” მიღების გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა“, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილის (№02/25719 16.05.2019წ.) წერილის, დეპარტამენტის ხელმძღვანელის მ. ბაქრაძის № MES 4 19 00924334, 09/07/2019 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს მისაღები კონკურსი ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომ განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამებზე: „თერაპიული სტომატოლოგია“ , „ორთოპედიული სტომატოლოგია“, გადამზადების პროგრამაზე „ორთოპედიული სტომატოლოგია“ და სპეციალიზაციის კურსის პროგრამაზე „ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია” მიღების მიზნით.

2. კონკურსანტთა განცხადებებისა და საბუთების მიღება იწარმოებს ბსუ–ს კანცელარიაში 2019 წლის 10 ივლისიდან 2019 წლის 29 ივლისის ჩათვლით 10სთ–დან 17სთ–მდე.

3. სარეზიდენტო, გადამზადებისა და სპეციალიზაციის პროგრამებზე ჩარიცხვა განხორციელდეს აკრედიტაციით დადგენილი კვოტის ფარგლებში:
ა) სარეზიდენტო პროგრამაზე - ,, თერაპიული სტომატოლოგია" (კვოტა - 10 ადგილი);
ბ) სარეზიდენტო პროგრამაზე - ,,ორთოპედიული სტომატოლოგია" (კვოტა - 2 ადგილი);
გ) გადამზადების პროგრამაზე - ,,ორთოპედიული სტომატოლოგია" (კვოტა - 3 ადგილი);

4. კონკურსანტთა რაოდენობა თუკი გადააჭარბებს მისაღებ ადგილებს, საუკეთესო გამოვლინდეს შესაბამის სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების შედეგად.

5. გამარჯვებული კონკურსანტების შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანება გამოცემული იქნეს კონკურსის შედეგების შესახებ პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე.

6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

7. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ–ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს კანცელარიასთან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანატთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი ზუბალაშვილის ქ.№30)

9. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**რექტორი ასოც. პროფესორი** **მერაბ ხალვაში**